



დანართი N1

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები ბიზნესში



ზოგადი ინფორმაცია

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

სფერო: 0613

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ინფორმაციული სისტემების ბაკალავრი / Bachelor of Information Systems

კვალიფიკაციის კოდი: 0613

სწავლების ენა: ქართული

სწავლის ხანგრძლივობა:

4

8 სემესტრი

პროგრამის მოცულობა:

240 / 6000 საათი

პროგრამის ხელმძღვანელი:

ია მოსაშვილი

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონსტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 4 წელი (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს: I, II, და VII სემესტრებში - თითოეულში 31 კრედიტი, III, V და VI სემესტრში - თითოეულში 30 კრედიტი, IV სემესტრში - 29 კრედიტი, ხოლო VIII სემესტრში - 28 კრედიტი.

ყოველ სემესტრში 15 კვირა ეთმობა სწავლებას, შუასემესტრული და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ვადები ყოველი წლის დასაწყისში განისაზღვრება რექტორის ბრძანებით, სასწავლო პროცესის მართვის მარეგულირებელი წესის საფუძველზე.

ინფორმაციული სისტემების ბაკალავრის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსების, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების და თავისუფალი კომპონენტების კომბინირებით არანაკლებ 240 კრედიტის შესრულების შემთხვევაში.

პროგრამის სტრუქტურა: პროგრამა შედგება სპეციალობის სავალდებულო (164 კრედიტი), სპეციალობის არჩევითი (22 კრედიტი) და არჩევითი (20 კრედიტი), სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები (24), თავისუფალი სასწავლო კურსებისგან (10 კრედიტი).

პროგრამაში სალექციო სწავლებასთან ერთად რიგი სასწავლო კურსები გულისხმობს ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს. პრაქტიკული მეცადინეობების მნიშვნელოვანი წილი ტარდება კომპიუტერულ კლასებში სპეციალიზებული კომპიუტერული აღჭურვილობის გამოყენებით, ასევე ონლაინ რეჟიმში. რიგი სასწავლო კურსებისა სწავლების სალექციო და პრაქტიკულ ფორმებთან ერთად გულისხმობს პროექტის შესრულებასაც, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნაზე დაყრდნობით გამოიმუშაოს მცირე მოცულობის პროგრამული ობიექტების სინთეზის უნარი. ასეთი ტიპის სასწავლო კურსს წარმოადგენს „საბაკალავრო პროექტი“, რომელიც მიმდინარეობს მე-8 სემესტრში და მოიცავს 10 კრედიტს. ამასთან მე-7 სემესტრში არის სასწავლო პრაქტიკის 8 კრედიტიანი სავალდებულო კურსი.

სტუდენტისთვის სავალდებულოა საბაკალავრო პროექტის შესრულება, რომელიც გულისხმობს ინფორმაციული სისტემების სფეროდან გარკვეული სისტემის დაპროექტებას. საბაკალავრო პროექტს სტუდენტი ასრულებს სწავლების ბოლო სემესტრის განმავლობაში და კრედიტების რაოდენობაა 10.

თავისუფალი კომპონენტებიდან სასწავლო კურსის არჩევასთან დაკავშირებით სტუდენტს აქვს სრული თავისუფლება.

საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები ბიზნესში“ დამუშავდა ცნობილი უნივერსიტეტების შესაბამისი პროგრამების და ინფორმაციული სისტემების მოწინავე ტენდენციების გათვალისწინებით:

- მასაჩუსეტის ტექნოლოგიების ინსტიტუტი <https://www.mit.edu/>
- კენტის უნივერსიტეტი <https://www.kent.ac.uk/>
- მანჩესტერის უნივერსიტეტი <https://www.manchester.ac.uk/>
- ბერკლის უნივერსიტეტი, კალიფორნია <https://www.berkeley.edu/>

პროგრამის მიზანი

ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები ბიზნესში საბაკალავრო პროგრამა მიზანია კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ საფუძვლიანი ცოდნა მარკეტინგის და მენეჯმენტის კომპიუტერული სისტემების შექმნის, დიზაინისა და მოდელირების განხრით. აღნიშნული მიმართულების კურსები მოიცავს ისეთი კომპლექსური ინფორმაციული სისტემების შესწავლას, რომელთა საშუალებითაც ხდება ბიზნესის პროცესების და ბიზნეს მონაცემების მართვა, ინფორმაციის მენეჯმენტი და მონაცემთა დამუშავება.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები ბიზნესში“ კონკრეტული მიზნებია:

- შესძინოს კურსდამთავრებულებს ინფორმაციული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის დაპროექტებისთვის საჭირო ზოგადი ცოდნა და უნარები;
- მოამზადოს ინფორმაციული სისტემების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან სისტემების პროგრამული უზრუნველყოფების შემუშავების, ინტეგრაციის, ექსპლუატაციის და დანერგვის საკითხების ცოდნით;
- შესძინოს კურსდამთავრებულებს ინფორმაციული სისტემების სფეროს მეთოდების და ინსტრუმენტების სხვა დარგებში, კერძოდ, მარკეტინგსა და მენეჯმენტში ეფექტურად გამოყენების უნარები;
- შეუქმნას კურსდამთავრებულებს სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის მყარი საფუძველი.

სწავლის შედეგები

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები ბიზნესში“ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას:

- განსაზღვრავს ინფორმაციული სისტემების სფეროს სპეციალურ საკითხებს დარგთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირების, ფორმულირებისა და მათი გადაჭრის გზების დადგენისათვის;
- გაიაზრებს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სისტემების ფუნდამენტურ თავისებურებებს;
- განასხვავებს ინფორმაციულის სისტემების დარგის ამოცანათა ფართო სპექტრს, რომელიც მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის უახლეს ასპექტებს.
- ახდენს მარკეტინგისა და მენეჯმენტის კომპიუტერული სისტემების თეორიული და პრაქტიკული პრობლემების იდენტიფიცირებას, ფორმულირებას, ანალიზებს და წყვეტს მათ პროგრამული საშუალებებით წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
- აპროექტებს (მათ შორის კვლევითი ელემენტებით), ინტეგრაციას უკეთებს და ახორციელებს კომპიუტერულ სისტემებს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
- იდენტიფიცირებს, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ახდენს კომუნიკაციას კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.
- ეთიკურ ნორმებზე დაყრდნობით აცნობიერებს პროფესიული გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობას.
- ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობებში ადგენს საკუთარი სწავლის შემდგომ საჭიროებას, პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას.

კომპეტენციების რუკა

კურსის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა

სწავლის შედეგები		სწავლის შედეგების ნუმერაციის მიხედვით							
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
პროგრამის მიზნები									
I	შესძინოს კურსდამთავრებულებს ინფორმაციული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფის დაპროექტებისთვის საჭირო ზოგადი ცოდნა და უნარები;	x	x	x	x		x	x	x
II	მოამზადოს ინფორმაციული სისტემების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან სისტემების პროგრამული უზრუნველყოფების შემუშავების, ინტეგრაციის, ექსპლუატაციის და დანერგვის საკითხების ცოდნით;	x	x	x	x	x	x	x	x
III	შესძინოს კურსდამთავრებულებს ინფორმაციული სისტემების სფეროს მეთოდების და ინსტრუმენტების სხვა დარგებში, კერძოდ, მარკეტინგსა და მენეჯმენტში ეფექტურად გამოყენების უნარები;			x	x	x	x	x	x
IV	შეუქმნას კურსდამთავრებულებს სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის მყარი საფუძველი.	x	x	x			x	x	x

სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობა

სწავლის შედეგები		სწავლის შედეგების ნუმერაციის მიხედვით							
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
სასწავლო კურსები									
1.	კალკულუსი 1	x	x						
2.	შესავალი ინფორმაციულ სისტემებში	x	x	x					
3.	კომპიუტერული უნარები	x	x	x				x	
4.	ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები	x	x	x	x				
5.	კალკულუსი 2	x	x						
6.	დაპროგრამების საფუძვლები	x	x	x	x				
7.	ექსელი ბიზნესისთვის				x		x		
8.	დისტანციურად მუშაობის მიდგომები და პარადიგმები	x	x	x			x		
9.	ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისური, გერმანული, ფრანგული)						x		
10.	ადამიანი-კომპიუტერის ინტერაქცია	x	x	x	x		x		
11.	ლოგიკა და ავტომატური მსჯელობა	x	x	x					
12.	სტატისტიკური მეთოდები	x	x	x	x				
13.	დაპროგრამება 1	x	x	x	x				
14.	დაპროგრამება 2	x	x	x	x				
15.	მონაცემთა ბაზების სისტემები	x	x	x	x				
16.	კომპიუტერის არქიტექტურა	x	x	x					
17.	ვებ ტექნოლოგიების საფუძვლები				x	x	x	x	
18.	პროგრამული უზრუნველყოფის დიზაინი				x	x	x	x	
19.	კომპიუტერული ქსელების შესავალი	x	x	x	x				

20.	დაპროგრამება პითონზე				x	x	x	x	
21.	ეკონომეტრიკა	x	x	x	x		x		
22.	მონაცემთა ანალიტიკა				x	x	x	x	
23.	განაწილებული სისტემები			x	x	x			
24.	სასწავლო პრაქტიკა				x	x	x	x	x
25.	სისტემების ინჟინერია		x		x				
26.	მონაცემთა მაინინგი			x	x		x		
27.	კომპიუტერის უსაფრთხოება	x	x	x					
28.	მანქანური სწავლების საფუძვლები	x	x	x			x		
29.	პროექტების მართვა	x	x	x	x		x	x	
30.	საბაკალავრო პროექტი					x	x	x	x

სწავლების ორგანიზება

ზოგადი აღწერა

ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები ბიზნესში საბაკალავრო პროგრამა შედგენილია საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის შესაბამისად. პროგრამა შედგენილია ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები ბიზნესში საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ,

მოწონებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, განხილულია აკადემიურ საბჭოზე და დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით.

პროგრამა შედგენილია დარგში არსებული თანამედროვე გამოწვევებისა და ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, მიმართულია უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლების შედეგების გამომუშავებაზე, რაც მოცემულ სფეროში ზოგადი ცოდნის და სფეროს სხვადასხვა ქვედარგის შესახებ სტუდენტის ინფორმირებულობას ისახავს მიზნად. უფრო დეტალურად კი, პროგრამა ფოკუსირებულია ისეთ დარგობრივ კომპეტენციებზე, როგორცაა, თანამედროვე ინფორმაციული სისტემების და ბიზნესის საფუძვლების ცოდნა და მათი პრაქტიკაში გამოყენება, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ცოდნა და დიზაინი, რაც ესოდენ ესაჭიროებათ ორგანიზაციებს ინფორმაციის სწორად მართვისათვის.

ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები ბიზნესში საბაკალავრო პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ინფორმაციულ სისტემების ბაკალავრი შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების სწავლების ენა - ქართულია, ზოგიერთი არჩევითი სასწავლო კურსი შეთავაზებულია უცხოურ ენაზეც, კერძოდ, ეს კურსებია, ელექტრონული მთავრობა და Agile დეველოპმენტი. ძირითადი სასწავლო მასალები წარმოდგენილია ქართულ ენაზე, რიგი დამატებითი მასალები მოყვანილია უცხოენოვანი წყაროების ფორმითაც (ინგლისურ ენაზე).

ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები ბიზნესში საბაკალავრო პროგრამა აგებულია შემდეგი პრინციპით: ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სავალდებულო, სპეციალობის არჩევითი, არჩევითი სასწავლო კურსები და თავისუფალი კომპონენტები. ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის ბაზისურ კურსებს, ისევე როგორც სფეროს ძირითად სასწავლო

კურსებს, სპეციალობის არჩევითში - სფეროში სპეციფიკური საკითხების შესახებ ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმავითარებელ სასწავლო კურსებს, არჩევით საგნები იძლევა საბაზისო ცოდნას მენეჯმენტისა და მარკეტინგის მიმართულებით, ხოლო თავისუფალი კომპონენტები სტუდენტს საშუალებას აძლევს მისი ინტერესებიდან გამომდინარე აირჩიოს საგნები.

პროგრამის სტრუქტურა აგებულია მარტივიდან რთულისკენ, იწყება ინფორმაციული სისტემების საფუძვლების და დაპროგრამების ენების საფუძვლიანად შესწავლის გზით, ასევე მენეჯმენტისა და მარკეტინგის საბაზისო ცოდნის საფუძველზე, ვითარდება ინფორმაციის მართვისათვის საჭირო საგნებით.

სტუდენტისათვის სავალდებულოა სასწავლო პრაქტიკის გავლა, რაც ხელს უწყობს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ასევე სავალდებულოა საბაკალავრო პროექტის შესრულება, რომელიც გულისხმობს ინფორმაციული სისტემების სფეროდან გარკვეული ინფორმაციული სისტემის დაპროექტებას. საბაკალავრო პროექტს დათმობილი აქვს 10 ECTS.

თავისუფალი კომპონენტი მოიცავს ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებული, უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში არსებულ სასწავლო კურსებს, რომელთა თავისუფლად არჩევაც შეუძლია სტუდენტს, მისთვის საინტერესო სფეროებში თვალსაწიერის გაფართოების მიზნით, სასწავლო კურსის შესწავლისათვის გათვალისწინებული შესაბამისი წინაპირობების დაცვით.

ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები ბიზნესში საბაკალავრო პროგრამის შემუშავებაში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი. პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, „აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამები“ საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები ბიზნესში საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები ბიზნესში საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვეს აღნიშნულ პროგრამაზე.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები ბიზნესში საბაკალავრო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ე) უნივერსიტეტი ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მოპოვების მსურველი პირების პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ატარებს გასაუბრებას და უზრუნველყოფს აღნიშნული გასაუბრების ვიდეოჩანაწერის განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობას.

ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები ბიზნესში საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა აგრეთვე ხდება მობილობის წესით. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი. მობილობის უფლება აქვს ასევე პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი ან სტატუსშეწყვეტილ პირს, სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში.

სწავლება-სწავლის მეთოდები

ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები ბიზნესში საბაკალავრო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას და მიმართულია შესაბამისი კომპეტენციის განვითარებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალი იყენებს სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდებს. საგანმანათლებლო კურსები მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებული ფორმატითა და სწავლება-სწავლის სხვადასხვა მეთოდით წარმართება. თითოეული კურსის ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო მეთოდები და აქტივობები მიმართულია სტუდენტების დაინტერესებასა და საჭირო უნარების განვითარებაზე. გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სწავლება ხორციელდება ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მუშაობის ფორმატში ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ავსებს ერთმანეთს. სასწავლო კურსებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, როგორებიცაა პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება, ლექცია, სემინარი, დისკუსია და დებატები, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდები, შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია, პრაქტიკული მუშაობა, შემთხვევების ანალიზი.

პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. ლექტორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. მათგან საჭირო მეთოდს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, ირჩევს ლექტორი.

ლექცია - შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობს ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი საგნის დებულებათა იდეის გაგება, რაც გულისხმობს გადმოცემული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს გადასაცემი მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე. ამიტომ, ის უნდა იყოს ლოგიკურად დასრულებული.

ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

დამოუკიდებელი მუშაობა ლექციაზე მოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით. სტუდენტს უნდა აღემრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი და საკითხების დამოუკიდებლად შესწავლის სურვილი, რაც დამოუკიდებელი აზროვნების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა.

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში ლექტორი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

წიგნზე მუშაობის მეთოდი დამოუკიდებლად მიცემული საკითხავი მასალის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი.

წერიტი მუშაობის მეთოდი გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება, და ა.შ.

პრაქტიკული მეთოდები აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, მაგალითად: პროფესიული პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

დისკუსია/დებატები ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს სასწავლო კურსის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

შემთხვევის ანალიზი (Case study) - შემთხვევების შესწავლა, აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით (ე. წ. ქეისების ამოხსნა). სწავლების ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (ქეისების) განხილვაზე. ქეისი წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად ავითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარი.

გონებრივი იერიში (Brain storming) მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგა რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა.
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

როლური და სიტუაციური თამაშები სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

დემონსტრირების მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს, როგორცაა, მაგალითად, მათემატიკური ამოცანის ამოხსნა, მისი საფეხურების დაფაზე თვალსაჩინოდ წარმოდგენის სახით, ან ისეთი რთული სახე მიიღოს, როგორცაა მრავალსაფეხურიანი საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტის ჩატარება.

ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა–განმარტებითი მეთოდი ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. ლექტორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

ლაბორატორიული მეცადინეობა უფრო თვალსაჩინოა და ამა თუ იმ მოვლენის ან პროცესის აღქმის საშუალებას იძლევა. ლაბორატორიაში სტუდენტი სწავლობს ექსპერიმენტის ჩატარებას. ლაბორატორიული მეცადინეობის დროს სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს მოწყობილობათა გამართვას, რეგულირებასა და მუშაობის რეჟიმის დადგენას. სასწავლო ლაბორატორიებში გამომუშავებული ჩვევები ლექციებზე მოსმენილი თეორიული მასალის გააზრების საშუალებას იძლევა.

პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

ელექტრონული სწავლება (E-learning) – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:

- დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.

- ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.
- მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას ლექტორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს.

საბაკალავრო პროექტი ბაკალავრიატის საფეხურის დამამთავრებელი ეტაპია და მისი მიზანია სპეციალობაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაცია და კონკრეტული სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური თუ პროფესიული ამოცანების დასაბუთებული გადაწყვეტა. ნაშრომმა უნდა გამოავლინოს დასმულ საკითხებთან დაკავშირებული კვლევის მეთოდებისა და ექსპერიმენტების დაუფლების დონე და მომავალი პროფესიული საქმიანობის პირობებში სტუდენტის მზადყოფნა დამოუკიდებელი მუშაობისთვის. კონსულტაცია - საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელთან სტუდენტის მიერ გამოყენებული საკონტაქტო დრო, როდესაც სტუდენტი იღებს ინფორმაციას შესასრულებელი ნაშრომის ფარგლებში გეგმის შედგენის, ემპირიული მასალის მოძიების, დამუშავების, ნაშრომის შინაარსობრივი ნაწილის დასკვნების გამოტანის, ნაშრომის ტექნიკური გაფორმების, მისი საპრეზენტაციოდ მომზადების საკითხებში.

პროფესიული პრაქტიკა არის სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი და წარმოადგენს სტუდენტის დაგეგმილ და მიზანმიმართულ საქმიანობას, აკადემიურ გარემოში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და პრაქტიკული უნარების შექმნას. პრაქტიკის მიზანს წარმოადგენს სტუდენტების შეიარაღება პრაქტიკული უნარებით და მათი მომზადება მომავალი დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობისთვის. პრაქტიკის განხორციელებაში ჩართულია სამი მხარე: უნივერსიტეტი, სტუდენტი და პოტენციური დამსაქმებელი/მიმღები ორგანიზაცია/პრაქტიკის ობიექტი, ამდენად იგი სამივე მხარისათვის მნიშვნელოვანია: აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირება რეალურ სამყაროსთან; სამუშაო გარემოში ჩართვა, საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება; სასწავლო პროცესში განვითარებული კომპეტენციების პრაქტიკაში გავარჯიშება; ახალი კომპეტენციების გამომუშავება; საგანმანათლებლო პროგრამების განახლება სწარაფცვალებადი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; კურსდამთავრებულთა დასაქმების ამაღლება; მოტივირებულ ახალგაზრდებთან ურთიერთობა; უკეთ მომზადებული პროფესიონალის აღზრდის ხელშეწყობა; საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფაში მონაწილეობა ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასებებით კომპეტენციის ზღვარის დაძლევა (შუალედური შეფასების 30 %-ს - არანაკლებ 21 ქულის დაგროვება).

დასკვნით გამოცდაზე კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 30%-ს - არანაკლებ 9 ქულას.

კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 100-დან არანაკლებ 51 ქულის დაგროვება და შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვა.

შეფასების კომპონენტები

უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3-ის შესაბამისად. სტუდენტის შეფასების პროცედურები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, გამჭვირვალეა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო მოცულობაში (100 ქულა) გააჩნია შემდეგი ხვედრითი წილი: შუალედური შეფასება - 70 % და დასკვნითი შეფასება - 30%. შეფასების თითოეულ ფორმას გააჩნია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის გადალახვა აუცილებელია აღნიშნულ შეფასებაში დადებითი შედეგის დაფიქსირებისთვის. შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შედგენს 30-30%-ს. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით. შეფასების კრიტერიუმები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა emis.seu.edu.ge, რომელიც განკუთვნილია სტუდენტთა ყოველკვირეული შეფასებისთვის; ლექტორის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის მონიტორინგისთვის; სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალეობის უზრუნველყოფისთვის; სტუდენტთა და ლექტორთა ინფორმირებისთვის სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. შეფასებათა უწყისში სტუდენტთა ყოველკვირეული შეფასების გარდა აისახება პრეზენტაციების, შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების შედეგებიც. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა ავტომატურად ახდენს სტუდენტის მიმდინარე აკადემიური მოსწრების ქულათა დაჯამებას, მათ დასკვნით და განმეორებით გამოცდებზე დაშვებას და საბოლოო შეფასების გამოყვანას. შეფასების უწყისი ასახავს თითოეული სტუდენტის ყველა შეფასებას, რომელიც მან დაიმსახურა სემესტრის განმავლობაში.

ნებისმიერ სტუდენტს, სისტემაში შესასვლელი სახელითა და პაროლით შეუძლია საკუთარ ელექტრონულ გვერდზე შესვლა და თავის შეფასებათა ნახვა.

სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემა საშუალებას იძლევა შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასება განახორციელოს ერთზე მეტმა შემფასებელმა. თითოეული სასწავლო კურსისთვის შექმნილია საკითხების ბანკი, რომლის ადმინისტრირება ევალუბა შესაბამისი მიმართულების/ქვემიმართულების აკადემიურ პერსონალს. საგამოცდო ელექტრონული სისტემის ლოგიკით სტუდენტს გამოცდაზე მისდის როგორც მისი, ასევე ამავე სასწავლო კურსის განმახორციელებელი სხვა ლექტორის შედეგნილი საკითხები რაც სწავლის შედეგების მეტად რეალისტური შეფასების შესაძლებლობას იძლევა. პრაქტიკული კომპონენტის და საბაკალავრო პროექტის შეფასება ხდება კოლეგიურად, უნივერსიტეტის მიერ შექმნილი კომისიის მიერ.

საგამოცდო პროცესი ორიენტირებულია სტუდენტის საჭიროებაზე, ყველა სახის გამოცდა (წერითი, ტესტური, პრაქტიკული ამოცანების შემცველი და ა შ) ბარდება უნივერსიტეტის კომპიუტერულ ცენტრში, შესაბამისად, გამოცდაზე რეგისტრაცია სტუდენტს შეუძლია საგამოცდო კვირის განმავლობაში მისთვის მოსახერხებელ დროს. ორი წელია უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დასკვნითი გამოცდების რეგიონულ ცენტრებში ჩაბარების შესაძლებლობას, რომელიც ხორციელდება ზემოთ აღწერილი წესის სრული დაცვით. სტუდენტის საგამოცდო შეფასება ანონიმურია.

სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს ნებისმიერი შეფასება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით. სტუდენტი „აპელაციის ლინკიდან“ აგზავნის განცხადება/საჩივარს, რომელსაც განიხილავს სასწავლო და საგამოცდო პროცესების მართვის დეპარტამენტი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით სემესტრის ბოლოს ხორციელდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება და ანალიზი, რათა განისაზღვროს პროგრამაზე არსებული სტუდენტების საერთო რაოდენობიდან რამდენმა პროცენტმა მიაღწია თითოეულ სასწავლო კურსის სწავლის შედეგს და სამიზნე ნიშნულებს.

ასევე თითოეული სასწავლო კურსის დასრულების შედეგად გროვდება სტუდენტების უკუკავშირი შეფასების მეთოდების რელევანტურობის, გამჭვირვალობის, ლექტორის მიერ შეფასებათა ობიექტურად და პუნქტუალურად ასახვასთან დაკავშირებით.

სტუდენტთა საბაკალავრო პროექტები მოწმდება როგორც აკადემიური გაფორმების სტილთან, ასევე აკადემიური პატიოსნების სტანდარტებთან შესაბამისობაზე (ანალიტიკური პროგრამა TurnItIn-ის საშუალებით), რეგენზირდება სხვა აკადემიური პერსონალის მიერ და საჯარო დაცვისთვის წარედგინება კომისიას.

შეფასებების უწყისის დახურვის შემდეგ, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების განზოგადებული ანალიზის შედეგები აისახება დიაგრამების სახით, სასწავლო კურსების, ლექტორებისა და შეფასებების განაწილების მიხედვით.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და კურსდამთავრებულებს აძლევს განათლების შემდეგ საფეხურზე მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამის დასაქმების სფერო

კურსდამთავრებულთა დასაქმების სპექტრი საკმაოდ დიდია, ისინი დასაქმდებიან კერძო თუ საჯარო სექტორის ნებისმიერ ორგანიზაციაში, სადაც იყენებენ IT საშუალებებს. დასაქმების სფეროებია: ინფორმაციული სისტემების ანალიტიკოსი (კომპიუტერული სისტემები და ბიზნეს ინფორმაციული სისტემები), პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერი, ინფორმაციული სისტემების მენეჯერი, მონაცემთა ანალიტიკოსი, IT კონსულტირების სპეციალისტი.

პარტნიორი პრაქტიკის ობიექტები

- შპს INI.GE
- შპს „კოსტი.გე“

პროგრამის ინტერნაციონალიზაცია

ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები ბიზნესში საბაკალავრო პროგრამის მიზნებში გათვალისწინებულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომელიც პროგრამის განხორციელების დონეზე გამოიხატება სასწავლო კურსების უცხო ენაზე შეთავაზებით, უცხოელი პროფესორების მოწვევით და უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტებისთვის გაცვლითი სემესტრის შეთავაზებით.

ასევე, უნდა აღინიშნოს უცხოური კომპანიის „Shbeemann Consulting DWC-LLC“ -ის ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა აკადემიური მობილობის ხელშეწყობა

პროგრამის III და IV სასწავლო წლის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია პარტნიორ უნივერსიტეტში 1 ან 2 სემესტრის სწავლის შესაძლებლობა, დამატებითი გადასახდელის გარეშე, აქედან სემესტრში უმაღლესი აკადემიური მოსწრების მქონე 2 სტუდენტის - უნივერსიტეტის სრული დაფინანსებით.

საერთაშორისო პარტნიორები

1. ტექნოლოგიების ინსტიტუტი აიტი კარლოუ , ირლანდია (Instistute of technology IT carlow Ireland)
2. ბიზნესის საერთაშორისო სკოლა, ბულგარეთი (International Business school Bulgaria)
3. კლაიპედას გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტი, ლიტვა (Klaipeda state university of applied sciences Lithuania)
4. ნოვოსიბირსკის ტექნიკური უნივერსიტეტი , რუსეთი (Novosibirsk Technical university Russia)
5. ბრაგანცას პოლიტექნიკური ინსტიტუტი, პორტუგალია (Politechnic Institute of Braganca portugal)
6. რისებას ბიზნესის, ხელოვნების და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, ლატვია (Riseba university of Business, arts and Technology Latvia)
7. სატიაბამას უნივერსიტეტი, ინდოეთი (Sathyabama University India)
8. მდგრადი განვითარების მენეჯმენტის ინსტიტუტი , საფრანგეთი (Sustainable development management institute France)
9. ცვიკაუს გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი , გერმანია (Zwickau University of applied sciences Germany)
10. კალისზის გამოყენებითი მეცნიერებების სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლონეთი (State University of Applied Science in Kalisz Poland)

პროგრამის რესურსები

მატერიალური რესურსი

ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები ბიზნესში საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილ კამპუსში, უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ყველა აუდიტორია აღჭურვილია სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ.

უნივერსიტეტში გამოყოფილია კომპიუტერული კლასები პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოებისათვის შესაბამისი აღჭურვილობით. კომპიუტერების მონაცემები და მათი რაოდენობა სრულად იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების საშუალებას, როგორც პროგრამული, ასევე ტექნიკური უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების მომსახურებაზე. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროგრამის აკადემიური კორპუსი

სასწავლო კურსები	სასწავლო კურსის განმახორციელებლის გვარი და სახელი	სტატუსი
კალკულუსი 1	აპლაკოვი ალექსანდრე ქელბაქიანი ლალი	ასოცირებული პროფესორი ასოცირებული პროფესორი
შესავალი ინფორმაციულ სისტემებში	მოსაშვილი ია	მოწვეული ლექტორი
კომპიუტერული უნარები	გაბოშვილი ნატო	მოწვეული ლექტორი
ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები	კობიაშვილი ანა	მოწვეული ლექტორი
კალკულუსი 2	აპლაკოვი ალექსანდრე ქელბაქიანი ლალი	ასოცირებული პროფესორი ასოცირებული პროფესორი
დაპროგრამების საფუძვლები	გიუნაშვილი სანდრო	მოწვეული ლექტორი
ექსელი ბიზნესისთვის	კიკნაძე მზია ბიწაძე ნინო	ასისტენტ-პროფესორი მოწვეული ლექტორი
დისტანციურად მუშაობის მიდგომები და პარადიგმები	გაბოშვილი ნატო	მოწვეული ლექტორი
ადამიანი-კომპიუტერის ინტერაქცია	კიკნაძე მზია	ასისტენტ- პროფესორი
ლოგიკა და ავტომატური მსჯელობა	მოსაშვილი ია	მოწვეული ლექტორი
სტატისტიკური მეთოდები	პეტრიაშვილი ლილი აბესასაძე ოთარ	ასოცირებული პროფესორი ასოცირებული პროფესორი
დაპროგრამება 1	დავითაშვილი ირმა	მოწვეული ლექტორი
მენეჯმენტის საფუძვლები	თაქთაქიშვილი თენგიზ ჩახვაშვილი დავით	ასოცირებული პროფესორი პროფესორი
მარკეტინგის საფუძვლები	შეროზია გურამ კობახიძე დიმიტრი	ასოცირებული პროფესორი მოწვეული ლექტორი
მიკროეკონომიკის პრინციპები	ზივზივაძე ლაშა კაკულია ემზარ	ასისტენტ-პროფესორი ასოცირებული პროფესორი
დაპროგრამება 2	გაჩეჩილაძე ლელა	მოწვეული ლექტორი
მონაცემთა ბაზების სისტემები	კობიაშვილი ანა	მოწვეული ლექტორი
კომპიუტერის არქიტექტურა	მოსაშვილი ია	მოწვეული ლექტორი
ვებ ტექნოლოგიების საფუძვლები	იაშვილი ლაშა	მოწვეული ლექტორი
მეწარმეობა	პერტაია ზურაბ	მოწვეული ლექტორი
ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	ჩახვაშვილი დავით	პროფესორი

	დიდიშვილი ნინო	ასოცირებული პროფესორი
ბიზნესის ეთიკა	ასათიანი ავთანდილ შურღაია პაატა	პროფესორი ასოცირებული პროფესორი
ბიზნეს-კომუნიკაცა	შურღაია პაატა საყვარელიძე სალომე	ასოცირებული პროფესორი ასისტენტ-პროფესორი
პროგრამული უზრუნველყოფის დიზაინი	გაჩეჩილაძე ლელა	მოწვეული ლექტორი
კომპიუტერული ქსელების შესავალი	მასხარაშვილი დიმიტრი	პროფესორი
დაპროგრამება პითონზე	გაჩეჩილაძე ლელა	მოწვეული ლექტორი
ეკონომეტრიკა	ჟორჯოლიანი დავით	მოწვეული ლექტორი
ინტერნეტ მარკეტინგი	გელაშვილი ანა შეროზია გურამ	მოწვეული ლექტორი ასოცირებული პროფესორი
ელექტრონული კომერცია	გელაშვილი ანა	მოწვეული ლექტორი
მონაცემთა ანალიტიკა	წიქორიძე მეგი	მოწვეული ლექტორი
განაწილებული სისტემები	მასხარაშვილი დიმიტრი	პროფესორი
ელექტრონული მთავრობა	კურტანიძე ლია Sava Čavoški	ასისტენტ-პროფესორი მოწვეული ლექტორი
Agile Software Development	Sava Čavoški	მოწვეული ლექტორი
ვებ დეველოპმენტი	კურტანიძე ლია	ასისტენტ-პროფესორი
სასწავლო პრაქტიკა	მოსაშვილი ია	მოწვეული ლექტორი
სისტემების ინჟინერია	დავითაშვილი ირმა	მოწვეული ლექტორი
მონაცემთა მაინინგი	პეტრიაშვილი ლილი	ასოცირებული პროფესორი
კომპიუტერის უსაფრთხოება	აბესაძე ლევანი	მოწვეული ლექტორი
სოციალური კომპიუტინგი	კურტანიძე ლია	ასისტენტ-პროფესორი
კომპიუტერული ხედვა	ახალაია დათო	მოწვეული ლექტორი
მანქანური სწავლების საფუძვლები	ბარნოვი სოფიო	მოწვეული ლექტორი
ოპერაციითა მენეჯმენტის საფუძვლები	დიდიშვილი ნინო თაქთაქიშვილი თენგიზ	ასოცირებული პროფესორი ასოცირებული პროფესორი
პროექტების მართვა	კიკნაძე მზია პეტრიაშვილი ლილი	ასისტენტ-პროფესორი ასოცირებული პროფესორი
საბაკალავრო პროექტი	მოსაშვილი ია	მოწვეული ლექტორი
უცხოური ენა B1.1 (ინგლისური) უცხოური ენა B1.2 (ინგლისური) უცხოური ენა B2.1 (ინგლისური) უცხოური ენა B2.2 (ინგლისური)	ავალიანი ალექსი ტაბუცაძე ქეთევან ჩიქოვანი ნინო	პროფესორი ასოცირებული პროფესორი მოწვეული ლექტორი

უცხოური ენა B1.1 (გერმანული) უცხოური ენა B1.2 (გერმანული) უცხოური ენა B2.1 (გერმანული) უცხოური ენა B2.2 (გერმანული)	ბურდული ია	მოწვეული ლექტორი
უცხოური ენა B1.1 (ფრანგული) უცხოური ენა B1.2 (ფრანგული) უცხოური ენა B2.1 (ფრანგული) უცხოური ენა B2.2 (ფრანგული)	გოგიჩაიშვილი ნინო	მოწვეული ლექტორი
უცხოური ენა B1.1 (რუსული) უცხოური ენა B1.2 (რუსული) უცხოური ენა B2.1 (რუსული) უცხოური ენა B2.2 (რუსული)	ზოგრანიანი ელმირა	პროფესორი

პროგრამის სასწავლო გეგმა

ინფორმაციული ტექნოლოგიები და სისტემები ბიზნესში

საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა

	სასწავლო კურსის დასახელება	ECTS	სულ საათები	დაშვების წინაპირობა	სტუდენტის სასწავლო დატვირთვა						კრედიტების სემესტრული განაწილება							
					ლექცია	სამუშაო ჯგუფში მუშაობა ან პრაქტიკული	შუალედური გამოცდა	დასვენითი გამოცდა	სულ საკონტაქტო	დამოუკიდებელი მუშაობა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
ძირითადი სწავლების სფეროს სასწავლო კურსები																		
	სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	164	შესაბამის სემესტრში ასათვისებელი სავალდებულო კრედიტების რაოდენობა								I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
											21	19	20	20	24	18	20	22
1.	კალკულუსი 1	6	150	არ აქვს	30	30	2	3	65	85	6							
2.	შესავალი ინფორმაციულ სისტემებში	5	125	არ აქვს	15	30	2	3	50	75	5							
3.	კომპიუტერული უნარები	4	100	არ აქვს	15	30	2	3	50	50	4							
4.	ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები	6	150	არ აქვს	30	30	2	3	65	85	6							
5.	კალკულუსი 2	6	150	კალკულუსი 1	30	30	2	3	65	85		6						

6.	დაპროგრამების საფუძვლები	5	125	არ აქვს	15	30	2	3	50	75		5						
7.	დისტანციურად მუშაობის მიდგომები და პარადიგმები	4	100	არ აქვს	15	30	2	3	50	75		4						
8.	ექსელი ბიზნესისთვის	4	100	კომპიუტერული უნარები	15	30	1,5	2,5	49	51		4						
9.	ადამიანი-კომპიუტერის ინტერაქცია	4	100	არ აქვს	15	30	1,5	2,5	49	51			4					
10.	ლოგიკა და ავტომატური მსჯელობა	4	100	არ აქვს	15	30	2	3	50	50			4					
11.	სტატისტიკური მეთოდები	6	150	არ აქვს	30	30	2	2	64	86			6					
12.	დაპროგრამება 1	6	150	დაპროგრამების საფუძვლები	15	45	1,5	2,5	64	86			6					
13.	დაპროგრამება 2	6	150	დაპროგრამება 1	15	45	1,5	2,5	64	86				6				
14.	მონაცემთა ბაზების სისტემები	5	125	არ აქვს	15	45	1	2	63	62				5				
15.	კომპიუტერის არქიტექტურა	5	125	კალკულუსი 2	15	30	2	3	50	75				5				
16.	ვებ ტექნოლოგიების საფუძვლები	4	100	შესავალი ინფორმაციული სისტემებში	15	30	2	3	50	50				4				
17.	პროგრამული უზრუნველყოფის დიზაინი	6	150	დაპროგრამება 2	15	45	1,5	2,5	64	86					6			
18.	კომპიუტერული ქსელების შესავალი	5	125	კომპიუტერის არქიტექტურა	15	30	2	3	50	75					5			
19.	დაპროგრამება პითონზე	8	200	ალგორითმები და მონაცემთა სტრუქტურები	30	45	2	3	80	120						8		

20.	ეკონომეტრიკა	5	125	სტატისტიკური მეთოდები, კალკულუსი 2	15	30	2	3	50	75					5			
21.	მონაცემთა ანალიტიკა	6	150	დაპროგრამება პითონზე; სტატისტიკური მეთოდები	15	45	2	3	65	85						6		
22.	განაწილებული სისტემები	6	150	კომპიუტერული ქსელების შესავალი	15	45	2	3	65	85						6		
23.	სისტემების ინჟინერია	6	150	კალკულუსი 2	15	45	2	3	65	85						6		
24.	სასწავლო პრაქტიკა	8	200	დაპროგრამება 2, ლოგიკა და ავტომატური მსჯელობა, კომპიუტერული ქსელების შესავალი, განაწილებული სისტემები, ვებ დეველოპმენტი, პროგრამული უზრუნველყოფის დიზაინი.	პრაქტიკა - 75			3	78	122							8	
25.	მონაცემთა მაინინგი	5	125	მონაცემთა ანალიტიკა, მონაცემთა ბაზების სისტემები	30	30	2	2	64	61							5	
26.	კომპიუტერის უსაფრთხოება	7	175	არ აქვს	30	45	2	3	80	95							7	
27.	მანქანური სწავლების საფუძვლები	6	150	არ აქვს	30	30	2	3	65	75								6

28.	პროექტების მართვა	6	150	არ აქვს	15	45	2	3	65	75								6
29.	საბაკალავრო პროექტი	10	250	სასწავლო პრაქტიკა	პროექტი - 90		2	3	95	105								10
	სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები	22	შესაბამის სემესტრში ასათვისებელი არჩევითი კრედიტების რაოდენობა								I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
														5	7	10		
30.	ელექტრონული კომერცია	5	125	არ აქვს	15	30	2	3	50	75				5				
31.	ინტერნეტ მარკეტინგი	5	125	არ აქვს	15	30	2	3	50	75				5				
32.	Agile Software Development	7	175	უცხო ენა B2/2 ინგლისური	30	45	2	3	80	95						7		
33.	ვებ დეველოპმენტი	7	175	არ აქვს	30	45	2	3	80	95						7		
34.	სოციალური კომპიუტინგი	5	125	არ აქვს	15	30	2	3	50	75							5	
35.	კომპიუტერული ხედვა	5	125	არ აქვს	15	30	2	2	49	76								
36.	ელექტრონული მთავრობა	5	125	არ აქვს	15	30	2	3	50	75								
37.	E-Government	5	125	უცხო ენა B2/2 ინგლისური	15	30	2	3	50	75							5	
	არჩევითი სასწავლო კურსები ბიზნესის მოდულიდან	20	შესაბამის სემესტრში ასათვისებელი არჩევითი კრედიტების რაოდენობა								I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
													5	6		4		5
38.	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	5	125	არ აქვს	15	30	2	3	50	75			5					

39.	მარკეტინგის საფუძვლები	5	125	არ აქვს	15	30	2	3	50	75			5					
40.	მიკროეკონომიკის პრინციპები	6	150	არ აქვს	30	30	2	3	65	85				6				
41.	მენეჯმენტის საფუძვლები	6	150	არ აქვს	30	30	2	3	65	85				6				
42.	ბიზნესის ეთიკა	4	100	არ აქვს	15	15	2	3	35	65						4		
43.	ბიზნეს კომუნიკაციები	4	100	არ აქვს	15	15	2	3	35	65						4		
44.	მეწარმეობა	5	125	არ აქვს	15	30	1	2	48	77								5
45.	ოპერაციათა მენეჯმენტის საფუძვლები	5	125	არ აქვს	15	30	2	3	50	75								5

თავისუფალი კომპონენტები

	სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები	24	სტუდენტის არჩეულ უცხო ენაში სემესტრში ასათვისებელი სავალდებულო კრედიტები								6	6	6	6				
46.	უცხო ენა B1/1 (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული)	6	150	არ აქვს		60	2	3	65	85	6							
47.	უცხო ენა B1/2 (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული)	6	150	უცხო ენა B1/1		60	2	3	65	85		6						
48.	უცხო ენა B2/1 (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული)	6	150	უცხო ენა B1/2		60	2	3	65	85			6					
49.	უცხო ენა B2/2 (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული)	6	150	უცხო ენა B2/1		60	2	3	65	85				6				

50.	თავისუფალი სასწავლო კურსები	10	სტუდენტი ირჩევს მისთვის სასურველ სასწავლო კურს უნივერსიტეტში მოქმედი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან									
	სულ	240		32	30	31	32	29	29	30	27	



